# ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝ

**MUNICIPALITY COUNCIL OF ABASHA**

0200 ᲐᲑᲐᲨᲐ, ᲣᲩᲐ ᲙᲐᲭᲐᲠᲐᲕᲐᲡ Ქ. №1 ᲢᲔᲚ/ᲤᲐᲥᲡᲘ 412: 29-19-19


## ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ

## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ №1-044

ᲐᲑᲐᲨᲐ, 2020 ᲬᲚᲘᲡ 19 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

## ᲛᲘᲚᲓᲐ ᲩᲐᲒᲐᲜᲐᲕᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №2 დადგენილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქართული სახელმწიფო ენის სიწმინდის დაცვის საკითხებში მილდა ჩაგანავა გადაყვანილ იქნეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროს სპეციალისტად ქართული სახელმწიფო ენის სიწმინდის დაცვის საკითხებში.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მილდა ჩაგანავას დანიშვნის შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2015 წლის 31 მარტის №1-017 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ᲐᲑᲐᲨᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ: Მ. ᲙᲕᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ